საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

05/03/2025

MES 2 25 0000234777

გადაწყვეტილება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის "განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 ვიზიტის ბრძანება (№1538740, 29/11/2024).
2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^7 მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირების" ერთობლივ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 04 მარტამდე.

1. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის "განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

1. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 05 მარტის №240525 სხდომის ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურის ფარგლებში, კვლევითი პროექტისა და მიზნის განაცხადის შეფასები კრიტერიუმები ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ აისახოს დოკუმენტაციაში, რაც უზრუნველყოფს კანდიდატების კვლევითი შესაძმებლობების შეფასების გამჭვირვალობასა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას.

1. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 04 მარტს.

1. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული დოკუმენტის
შეესაბამება
ელექტრონულად

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება (ერთობლივი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	კი
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	8
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0111 განათლების მეცნიერება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	**11ბ, ი. ჭავჭავაძის გამზირი, აკადემიური კორპუსი 3, თბილისი 0179, საქართველო მირასლის ქ.4, 10676, ათენი, საბერძნეთი**
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	04.03.2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	04.03.2032